გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ; თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



გამოვიდა და ისყიდება

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

№ 6

ბურბენ რაინდი

(ლეგენდა)

ცახელისა

ფასი ექვი შაური


## ბრძოლა კაპიტალთან

რაც დღე გადის, ფულის მსესხებელთა სიხარბე უფრო და უფრო მატულობს. ხალხისთვის სრულიად შეუძლებელი შეიქმნა თავის დაფარვა ამ უქმ და ულმობელ ჯიშის არსებათაგან. გამძვინებულს მადას მევახშეთა აღარა აქვს საზღვარი და ლამის ამ სვავთა ერთიანად ჩანსთქან ერის კეთილდღეობა!..

ყველა ჰგრძნობს, რომ საქმეთა ასე მიმდინარეობა შეუძლებელია, და უთუოდ რაიმე ღონე უნდა იქმნას მიღებული, რომ ხალხის ნალვაწი და ნაშრომი არ ჩაუვარდეთ ხელში მაწანწალა ვაჭართა. მაგრამ საფუძვლიანი და ძირეული საშვალება ჯერ ვერავის მოუნახავს, რომ გაჭირვებულმა ხალხმა მოიგეროს თავიდან მევახშენი და ასცილდეს მათს ანგარებას.

ამ დროს კანონი, რომელიც მოვალეა დაიფაროს თითოეული წევრი საზოგადოებისა უსამართლობისაგან, არა თუ ვერ შველის დაჩაგრულთა და გაძარცულთა, არამედ ხელს უწყობს ფულის მსესხებელთა და არწმუნებს ხალხს, რომ კაპიტალს ვერავითარი ქვეყნიერი ძალა ვერ გაუწევს ბრძოლას.

კანონს, რასაკვირველია, უნდოდა, რომ მუშა კაცის ნალვაწი არ ჩავარდნოდათ ხელში ჩარჩებსა და ოინბაზებს, მაგრამ იგი სრულიად უძლური ხდება ამ წურბელათა ხრიკების წინაშე და ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას—ექმნას ფარად სუსტსა და დაჩაგრულს.

ამ ნაირი ძნელი და უნუგეშო მდგომარეობა მწარმოებელის ხალხისა, იმ ხალხისა, რომელიც არჩენს და ასაზრდოებს ყოველსავე, რაც-კი შეიქმს ღონეს ქვეყნისას: მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას და თვით მთელ სახელმწიფო წყობილებას,—აფიქრებს და აღონებს კანონ-მდებელს. ყველანი ჰგრძნობენ, რომ საწყაული მოთმინებისა აღივსო და ამ დროს ჩნდება ახალი კანონი, რომელიც თითქოს გარანტია არის მშრომელ ხალხისათვის.

მაგრამ კანონს ყოველ გარემოების წარმოდგენა და ყოველის წვრილმანის წინადვე დანახვა და განჭვრეტა არ შეუძლიან და ჩარჩები ისევ ისე ძარცვენ და ატყავებენ ხალხს.

მაგალითებრ: ახალს კანონს მევახშეთა შესახებ სრულიად არა აქვს მხედველობაში ის ფორმა კრედიტისა, რომელიც გავრცელებულია კახეთში. ამ საგანზედ „კავკაზში“ იყო დაბეჭდილი მშვენიერი წერილები, რომლიდანაც სჩანს, რომ კახეთის მშრომელი ხალხი ერთიანად გამხდარა იქაურ მოვაჭრეთა უსუსურ მსხვერპლად. ავტორს ამ წერილებისას მოჰყავს თ. არღუთაშვილისაგან შეკრებილნი ცნობანი იმის შესახებ, თუ მართლა როგორს გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავარდნილა კახეთის ხალხი ამ ულმერთო მსესხებელთა წყალობით. აქედან სჩანს, რომ დიდ-ძალი მამული კახეთის მკვიდრთა გადასულა მევახშეთა და ჩარჩთა ხელში.

თ. არღუთაშვილი გვიამბობს, თუ რა ნაირად ვარდება კახელი გლეხი ჩარჩების ხელში: „საქმე ყოველთვის იწყება იმით, რომ გლეხს რამდენიმე თუმანი დასჭირდება ცოტას ხნით; რომელისამე მიზეზის გამო, ხშირად ისეთის მიზეზისა, რომელიც არ არის დამოკიდებული გლეხზედ, იგი ვერ იხდის ვალს ვადაზედ. მაშინ იწერება ახალი ვექსილი და თავნს ემატება ჯარიმა და სარგებელი. შემდეგ ამ გვარის ვექსილის გადაწერისა და ჯარიმების მიმატებისა ვალი ისე მატულობს და იზრდება, რომ გლეხისათვის სრულიად შეუძლებელი ხდება იმისი გადახდა. სწორედ ამ დროს ელის გადარაჯებული მევახშე და შეაქვს საჩივარი სამსჯავროში. გლეხს უყიდიან უკანასკნელ სარჩო-საბადებელს და აკმაყოფილებენ მოვალეს. ამას ჰქვიან სიღნაღის კომმერციაო“, დასძენს პატივცემული მკვლევარი კახეთის გლეხთა მდგომარეობისა თ. არღუთაშვილი.

ამ საგანს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მალე. მანამდის-კი უნდა აღვიაროთ, ერთად „კავკაზის“ წერილების ავტორთან, რომ ჩვენც დიდად გვაშინებს კახელ გლეხის საქმე: ვაი თუ კახეთის მწარმოებელი ხალხი უმიწაწყლოდ დარჩეს, ჩარჩების წყალობით, და ამას მოჰყვეს განსაცდელი და დიდი გასაჭირი ქვეყნისა?!.

მეველე

## ახალი ამბავი

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ თ. კირილე ბეჟანის ძეს ლორთქიფანიძეს გადუწყვეტია, კენჭი იყაროს ქუთაისის ბანკის თავმჯდომარეს ადგილზე. წინადაც ბევრჯელ უთხოვნიათ ზემოხსენებულის მოღვაწესათვის, დათანხმებულიყო და ეტვირთნა სამსახური სათავად-აზნაურო ბანკისა, მაგრამ თ. კირილე ბეჟანის ძე დიდს უარზე იდგა და არა სთანხმდებოდა. ეხლაც უარზე ყოფილა, მაგრამ მეგობართა და ნაცნობთა თხოვნას ვეღარ წასვლია, პატივი უცა მათის თხოვნისათვის, და დათანხმებულა. სასიამოვნო ამბავია, სწორედ! თ. კირილე ბეჟანის ძე დირექტორად არის ამ ჟამად „ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა“ და ცნობილია უანგარო და ყოვლად პატიოსან, ყველასაგან პატივცემულ კაცად, საზოგადო მოღვაწედ და ჩვენთა საქმეთათვის დიდად გულ-შემატკივრად. ამისთანა ღირსეულს კანდიდატს, ცხადია, დასავლეთ-საქართველოს თავად-აზნაურობა თანაგრძნობით მიეგებება და დამშვიდდება ეხლოდენთა ღელვათაგან ბანკის მმართველის არჩევანების გამო. იმედია, რომ ასეთი ღირსეული კანდიდატი დიდის ხმის უმეტესობით იქმნება არჩეული და მის ხელში მერე ბანკს აღარა გაუჭირდება-რა. პირ-იქით, დიდს წარმატებასა და სიკეთეში შევა. ვისურვებთ, რომ წრევანდელი საგანგებო კრება, რა-კი ასეთი კანდიდატი აღმოჩნდა, დასდასად აღარ გაყოფილიყოს და ყველასაგან ერთნაირად პატივცემულის კაცის ამორჩევით ბოლო მოჰღებოდეს ერთხელ და სამუდამოდ ამდენს უსიამოვნებას, უწესოებას და მტრობა-ჯიბრს მოძმეთა შორის.

*** ჩვენ მივიღეთ მეოთხე წიგნი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა“. ამ წიგნში მოთავსებულია შემდეგი წერილები:

I. ბავშვები და მზე, ლექსი—დუტუ მეგრელისა, II. კუდგძელა წრუწუნას ნაამბობი, თ. რაზიკაშვილისა, III. ნადირობა, ლექსი თეოფ. კანდელაკისა, IV. ბაბუცას აღთქმა—ან. თ.-წ.-სა, V. შველი, ლექსი—შ. მღვიმელისა, IV. ზღაპარი (წარმოდგენილი კნ. ნატ. ამირაჯიბის მიერ), VII. მტრედი და მიმინო, ეზოპისა, თარგ. მ. ღლაშვილისა, VIII. იის ხვედრი, თეოფ. კანდელაკისა, IX. ჯაჭვის ნათქვამი (ხალხური ლექსი), X. მცურავი ბუდეები—ილიკოსი, XI. იოსების ბედი (ამბავი საღვთო წერილიდგან)—წყალტუბლისა, XII. ვასო და ჩიტები—იაკობ სვიმონისძისა, XIII. სამი მომკალი და ორკეცი ფასი სწავლისა—მისივე, XIV. სიკეთე ბოროტისათვის—მისივე, XV. ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, თეთრი ქათამი, შაირი, ჩქარა გამოსათქმელი, ზმები, ისტორიული აკროსტიხი, აკროსტიხი, შარადა და რებუსი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი, ინჟინერი ბ-ნი ფრიდეორის თვითონ დაეთხოვა სამსახურს და საზღვარ გარედ გაემგზავრა. თანამდებობა გადასცა დროებით თავის თანაშემწეს ინჟინერს ბ. კორშს.

*** წელს ოდესის უნივერსიტეტში სწავლა დაუმთავრებია და დიპლომები მიუღია 92 სტუდენტს. ამათში სამი სტუდენტი ოქროს მედალებით დააჯილდოვეს, მათ შორის თ. ამირეჯიბიც.

*** გუშინ-წინ, 4 ივლისს, ნაშუა-

## ფელეტონი

### საბიბლიოგრაფიო წერილი

„ცრემლები“—დუტუ მეგრელისა. ტფილისი 1893 წ.

ჩვენში ჯერ ლიტერატურული კრიტიკა არ დაბადებულა და არც საკვირველია. პირველად უნდა მოგროვდეს სალიტერატურო მასალა, რომ მერე გაჩნდეს ხალისი მასალის გადათვალიერებისა, მის ღირსების აწონ-დაწონვისა. რამდენიც უფრო ატულობს სალიტერატურო მასალა, იმდენად მკითხველ საზოგადოებაში ილვიძებს სურვილი ამ მასალის გამორკვევისა, რომ გადაირჩიოს ყოველივე ის, რაც შეადგენს მართალს განძს სიტყვიერებისას ანუ მეცნიერებისას, და ანდერძი აგოს მას, რაც ნაყოფია ჭკუისა და საქვეყნო გრძნობისა-კი არა, არამედ გაბერილის თავ-მოყვარეობისა, მცირე წლოვანის ტიტინისა და მტკნარ უნიჭობის ღექვისა და ცოხვნისა. თვით საქმის ვითარებამ უნდა გამოიწვიოს კრიტიკა. უკეთუ ვითარება საქმისა ხელს არ უმართავს კრიტიკას, ამ უკანასკნელის მოედანი ძლიერ ვიწროა და მასზედ ნავარდით კრიტიკოსი შორს მანძილს ვერ გაივლის.

მაინც ჩვენი მწერლობა საკვირველს ვარსკვლავზედ არის დაბადებული. უდიდესი და უნიჭიერესი წარმომადგენელი ჩვენის მწერლობის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისა და ამ საუკუნის დასაწყისისა არის, შეუდარებლად, დავით გურამიშვილი, ხოლო მის თანაბარნი წარმომადგენელნი ახალის მწერლობის სათავისა არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი. შეადარეთ, რამოდენა უბსკრული ძევს პირველსა და უკანასკნელთა შორის, და რაღა დაგრჩებათ ხელში მათ შორის ხიდის გადასადებად, მათ შესაერთებლად, გარდა ენისა! მაშინ როდესაც თავი და ბოლო გურამიშვილის მუზისა არის სარწმუნოება და ქრისტიანობა, როდესაც მისი ნაწერები ძლიერებითა და ნიჭით, სარელიგიო სასოებით თითქმის უდრიან ფსალმუნს დავითისას, როდესაც იგი არის აღტაცებული მოძღვარი ღვთის-მეტყველობისა,—ამ დროს მისნი დიდებულნი მემკვიდრენი თითქმის ხმასაც არ იღებენ სარწმუნოებაზედ და მთელი მათი ყურადღება გაჩერებულია სამოქალაქო ცხოვრების ავ-კარგიანობაზედ.

მეტყვით, კრიტიკისთვის თვით ეგ განსხვავება წარსულისა და ახალის მწერლობისა უკეთესი საგანი უნდა შექმნილიყოო. კრიტიკას უნდა გამოერკვია საზოგადოებისათვის, როგორ მოხდა, რომ ახალმა მწერლობამ უცებ მაგეთი ნაბიჯი გადადგა წინ და იმისთანა საგნებს დაუწყო მძლავრის ხელით პოტინი, რომელიც შეადგენს სულსა და გულს ევროპის დაწინაურებულ ლიტერატურათა. მართალი ბრძანება გახლავთ, მაგრამ სად იყო საზოგადოება, რომელსაც მოესმინა თქვენი გამოკვლევა სალიტერატურო ისტორიისა და კრიტიკისა, როდესაც თვით გურამიშვილი მხოლოდ ამ ათი-თხუთმეტის წლის წინედ დაიბეჭდა და როდესაც სხვა მოღვაწენი წარსულის საუკუნისა დავიწყებულნი იყვნენ ერთობ და არიან დღესაც. ეგ რად გინდათ, როდესაც ახალის მწერლობის შემქმნელ-დამბადებელთა თხზულებანიც მხოლოდ ეხლახან ღირსნენ სრულად აღბეჭდვას! რაიცა შეეხება ფასს ახალ მოღვაწეთა ნაწერებისას, იგი ისეთის გასაშტერებელის სიდიდისა იყო, რომ ანბანის მცოდნეც ჰხედავდა ძლიერებას გრიგოლ ორბელიანის, ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავის და თითო-ოროლა სხვების ნიჭიერებას. მწერალნი ცოტანი იყვნენ, მაგრამ მათი ნიჭი და მნიშვნელობა სადავოდ არავის შეჰქმნოდა. ამ მიზეზთა გამო კრიტიკის უმთავრესი დანიშნულება—სალიტერატურო ნაგავში ძიება და პოვნა მარგალიტისა—თითქმის უსაგნო დარჩომილიყო ჩვენში.

ამ ბოლოს დროს-კი სხვანაირ ნიშნებსა ვხედავთ. თანდათან გროვდება სალიტერატურო მასალა. შესდგა რამდენიმე საზოგადოება, რომელნიც ჰბეჭდენ ქართველთა ჭკუის ნაწარმოებს ცალკე წიგნებადა და წიგნაკებად. თითქმის თთვე არ გავა, რომ ახალი წიგნი არ დატრიალდეს ქართველობაში. თანაც გამომცემელთა ანგარიშები გვეუბნება, რომ ამ წიგნებს მკითხველი ჰყავს, კითხვის წყურვილი იზრდება და მატულობს დღითი-დღე. ღმერთმა-კი ნუ ჰქმნას, და ეხლანდელს დონეზედაც რომ გაჩერდეს ხალისი წერისა და კითხვისა, მხნეობა მბეჭდავ საზოგადოებათა, მაინც იმოდენა მასალა შეემატება ჩვენს მწერლობას მცირე ხანში, რომ კრიტიკის დაბადების ლოდინი ბევრს დროს აღარ წაგვართმევს. გაჩნდება ჩვენშიც კრიტიკა, რომელიც გზა-მაჩვენებელ ვარსკვლავად მოევლინება ქართველ საზოგადოებას და ცნობიერებაში მოიყვანს ჩვენს ხალისს კითხვისა და განვითარებისას. მაგრამ ვიდრე ჩვენის მწერლობის საკმაოდ ნოყიერს და უხვს ყანაში დაარსდებოდეს ასეთი კრიტი-

დღევის 1 საათზედ, ცეცხლი წაეკიდა კოტრინის სახლს, მიხეილის ქუჩაზედ. ცეცხლი გაჩნდა იმ ფარდულში, სადაც საღებავი წამლები ინახებოდა. სახლის ეს ნაწილი სულ ერთიანად გადიბუგა. ვერ მოასწრეს გამოეტანათ ვერც წამლები, ვერც იარაღი და ვერც ახლად გაკეთებული ეტლები. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არავინ იცის. ჯერ აქ არ გამქრალიყო ცეცხლი, რომ შუადღის 3 საათზედ ვარანცოვის ხიდის ყურზედ, მარტიევის სახლში, ცეცხლი წაეკიდა სააფთიაქო საწყობს არისტაკოვისას. საწყობიდგან ცეცხლი მოედო ნავასარდიანის სამკურნალოს აივანს. ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომლიც მიხეილის ქუჩაზედ იყო იმ დროს და კოტრინის სახლებში აქრობდა ცეცხსა, ორად გაიყო და ნახევარი რაზმი წამოვიდა არისტაკოვის საწყობში ცეცხლის გასაქრობად. სააფთიაქო წამლების მაღაზიიდგან დროზედ მოასწრეს ისეთ წამლების გამოტანა, რომელთაც ცეცხლი ადვილად ეკიდება. ამისგამო ცეცხლი მალე ჩააქრეს.

*** 3 ივნისს ტფილისის მეექვსე ნაწილის პოლიციის საკრებულოში მივიდა სიღნაღის მაზრის სოფ. ვეჯინის მცხოვრები თ. ნიკოლოოზ იოსების ძე ანდრონიკაშვილი და გამოაცხადა, შარშან ნოემბერში ტფილისის მაზრის სოფ. მალხაზოვკას ახლო მოვკალი დანით ჩემის სოფლისავე მცხოვრები სოლიკო ფურცელაძეო. დამნაშავე შეიპყრეს და გადასცეს მაზრის უფროსს.

*** კვირას, 4 ივლისს, დილის $9^1/_2$ საათზედ, „ტფილისის სობრანიის“ დარბაზში დაიწყო კრება ტფილისის საკრედიტო საზოგადოების მსესხებელთა, ამავე საზოგადოების ზედამხედველ-კომიტეტის თავმჯდომარის ი. ო. გურგენბეგოვის თავმჯდომარეობით. კრებამ აირჩია საზოგადოების 29 რწმუნებული პირველის ხარისხისა და 23 რწმუნებული მეორე ხარისხისა.

*** 1 აგვისტოდგან, ახალ განკარგულებამდე, შემოღებულ იქმნა ამიერკავკასიის რკინის გზაზედ ახალი შემცირებული ტარიფი. ამ ტარიფის ძალით, მგზავრს შეუძლიან უფასოდ წაიყვანოს ერთი ყმაწვილი არა უმეტეს ხუთის წლისა. საქონლის გაღასატანად გამოერთმევა თითო ფუთზედა და ვერსზედ $^1/_4$ კაპეიკი და ამას გარდა მთელის ფასის $25^0/_0$.

*** ლეხურის ხეობა (გორის მაზ.): ლეხურის ხეობაზედ მეტად გახშირდა ქურდობა და ავაზაკობა: ს. საკორინთლოში გაჰქურდეს ამას წინად ერთი საწყალი გლეხკაცი ა. თვ—ბი, რომელსაც საბძელში ჰყავანდა ღამე საქონელი; გასტეხეს საბძლის კლიტე და ორი სული საქონელი გამორეკეს: ერთი ძროხა და მეორე მოზვერი.

8 მაისს გაჰქურდეს კიდევ ამავე საკორინთლოში მცხოვრებელი აზნაური მ. თ—ლი, რომელსაც მოჰპარეს ორი ძროხა საბძლიდგანვე.

სოფ. რგვალ-ჭალაში გაჰქურდეს ამავე სოფლის მცხოვრებელი გლეხი, რომელსაც შეუცვივდნენ მეცხვარეები, გამოიტანეს სახლის ავეჯი და სპილენძეულობა. ქურდები შეიპყრეს და გადაახდევინეს 300 მანეთამდე.

სოფ. სამთავისს მაისშივე ცხენი მოჰპარეს გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს მ. ილუ—ძეს.

ივნისის 27-ს ღამე მოჰპარეს სოფ. საკორინთლოში მცხოვრებელს გლეხკაცის ქვრივს მ. ჯანვისას ერთი ძროხა. საცოდავს ქვრივ-ოხერს დედაკაცს იმის მეტიც არა ებადა-რა.

*** ყარაიაზი: 4 ივლისს, ღამის 1 საათზე, ორი შეიარაღებული თათარი დაეცა რკინის გზის მეისრეს ვანო ტათანაშვილს და ფულის თხოვნა დაუწყეს, ან ფული მოგვეო, ან სადგურისა და ლიანდიგის უფროსების სახლი გვაჩვენეო. მეისრეს არც ფული მიეცა და არც იმათი სახლი ეჩვენებინა, რის გამოც ისე ეცემათ, რომ საეჭვოა იმის გადარჩენა.

*** სოფ. რუისი (გორის მაზრა): აქ ამ ჟამად გაცხარებული გამიჯვნაა მამულებისა. მუშაობს მთელი კომისია მიწის მზომელთა. მაგრამ თან დიდი დავი-დარაბაც არის. ყველა მამული სადავოდა რჩება. თუმცა მამაცაშვილნი დიდის ხნის გაყოფილნი და გაყრილნი არიან, აქვთ კიდეც საბუთები, შინაური თუ ნოტარიუსისა, გაყრილობისა და მამულების გაყოფის თაობისა, მაგრამ მაინც კიდევ დაობენ ახლაც და მით უძნელებენ მუშაობას კომისიასაც და გლეხთაც, რომელნიც ვალდებულნი არიან დაესწრნენ მიჯვნას, როგორც მოწმენი და მუშანი. რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი გამოცხადებულ დავათა სასამართლოს მიერ სრულიად უყურადღებოდ იქმნება დატოვებული. მამაცაანთ დავას გარდა, თვით გლეხნიც დავობენ იმის გამო, თუ რის მოვალენი არიან მიწის მზომელთა წინაშე: რამდენი ოთახი უნდა მისცენ მიწის მზომელთ ბინად, რა ფასის სადგომი უნდა უქირავონ, რამდენი მუშა, საზოგადო სანოვაგე, ყარაული, ცხენი და სხვ. ამიტომ ურიგო არ იქმნებოდა სამოსამართლო პალატის გამმიჯვნელ განყოფილებას შეედგინა მოკლე ინსტრუქცია და შიგ მოეხსენებინა, რა ვალდებულება აძევს სოფლის საზოგადოებას ამისთანა შემთხვევაში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. წილკანი** (დუშეთის მაზრა). ხანგრძლივმა ზამთარმა ისეთი საქმე დაგვმართა, რომ აღარ ვიცით მომავალში რის და ვისი იმედი ვიქონიოთ. ვენახები გადაგვიხმა, ორსამ წლამდე ზარალის მეტს არას გამოველით; საქონელი ბევრი დაგვეხოცა, ბევრს პური ზამთარშივე შემოგვაკლდა. ვენახებში, მართალია, ძრიელ კარგი ბალახი მოვიდა, მაგრამ ბალახში აღებულის ფასით, კუჭს ვერ გაიძღობთ. გაზაფხულზე კიდევ ჩვენმა ნარეკვის წყალმა ოთხასის დღიურის ნამუშავარი წაგვართვა. მთავრობას ვაცნობეთ ზარალი, რომელიც შეადგენს 25000 კოდსა, ანუ ფულად რომ ვიანგარიშოთ, 50,000 მან. შესაბრალისს სურათს წარმოადგენს დაზარალებული სოფელი. ბევრს მჰადი ენატრება საჭმელად. ორმოც კაცზედ მეტი აღარც-კი იქნება მთელ სამამასახლისოში; სხვანი სამუშაოდ არიან წასულნი სხვა სოფლებში, მაგრამ რა გამოვიდა: მუშა ექვსი შაურია დღეში, როდესაც ამისთანა ცხელ დღეებში, წარსულ წლებში სამი აბაზი სულ მცირე ფასად ითვლებოდა დღიურის მუშისათვის.

თქმა არ უნდა, მთავრობა უნუგეშოდ არ დაგვტოვებს და ასე თუ ისე დაგვეხმარება ამ გაჭირვებაში.

29 თიბათვეს აქ მოვიდა ბ-ნი როინაშვილი ფოტოგრაფიულის აპარატით ეკლესიის ზოგიერთა უძველეს ნივთების გადასაღებად და გადაიღო კიდეცა. ნივთებ შორის ფოტოგრაფის ყურადღება მიიქცია, ორმა ძველმა, ეტრატზე ნაწერმა, სახარებამ, რომლისთვისაც ჟამთა-ვითარებას ლაქიც არ დაუმჩნევია. საკვირველი სანახავია აგრეთვე ოქრო-მკედით ნაქერი გარდამოხსნა და ოლარი შიგ ჩატანებულის ძვირფასის ქვებითა. ეს ძვირფასი ნივთები აშკარად გვიმტკიცებს ხელოვნების ზედ მიწევნით ცოდნასა ძველად. მაგრამ ამაზედ უფრო უძვირფასესი სიმდიდრე ჰქონია ჩვენს ეკკლესიასა. ღვთისმშობლის სურათის თავთან, ორსავ მხრივ, ჩართულია ორი პატარა სურათი, რომლებსაც ჯერ არავის ყურადღება არ მიუქცევია და თურმე უძვირფასეს განძად-კი უნდა ჩაითვალოს. ფოტოგრაფს ბ-ნს ალ. როინაშვილს დიდად მოეწონა ეს სურათები და სთქვა, რომ მაგისთანა ხელოვნება ჯერ თითქმის არსად არ მინახავსო.

სოლ. ლაშაური

**ს. საქაშეთი** (გორის მაზრა). როგორც ეტყობა, ამ მცირე ხანში შესაძლოა დაარსებულ იქმნას აქ სამრევლო სკოლა თ. ნიკ. დავითისძის დიასამიძის თაოსნობით. ასეთი სკოლა მით უფრო სასურველია, რომ საქაშეთშია გაშენებული თუთის ხეების პლანტაცია, რომელშიაც ას ოცი ათასი ხე ითვლება და ათი მოზდილი ოთახი მუდამ ზაფხულობით სავსეა აბრეშუმის ჰიით. სულ ცოტა ასისა და ორასის თუმნის აბრეშუმს აკეთებს იჯარადარი ზემოხსენებულის მემამულესი ბ-ნი კ. აფრიკიანი. ესევე იჯარადარი ბაღოსნობასაც მისდევს და უხვად მოჰყავს სხვა-და-სხვა ჯიშის კომბოსტო, კიტრი და სხვა ბოსტნეული, რომლის თესლიც საზღვარ გარეთიდგან აქვს დაბარებული. საქაშეთში სკოლის დაარსებით, გარდა წერა-კითხვისა, ბავშვებს შეუძლიანთ ისწავლონ აბრეშუმის მოყვანა, ბაღოსნობა და მეფუტკრეობა. მაგალითი თვალ-წინ ექმნებათ და მასწავლებელი მხოლოდ საჭირო ხელმძღვანელობას გაუწევს სკოლის შეგირდებს.

კვესი

**სოფ. შუბანი** (გურია). დღეს ჩვენს სოფელში ახალი ამბავი ის არის, რომ პირველ გილდიის ვაჭარმა იორდანემ და სპირიდონ გიორგის ძეთ სიხარულიძეთ ეკკლესიის აშენება იკისრეს. მრევლი ისე ღარიბია და მცირე, რომ ეკკლესიის აგება არ შეეძლო, სიხარულიძეებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს და ეკლესიის შენობის აგებას თვითონ შეუდგნენ. ეს შენობა სიხარულიძეებს ათას თუმნამდე უჯდებათ.

მცირე შეღავათი არ მისცა ადგილობრივ მცხოვრებთ ამოღება ფულის დატრიალებამა. ამ საქმემ, როგორც მთელი შუბანი, ისე მის გარშემო სოფლები გამოაღვიძა და მოძრაობაში მოიყვანა. დიდს, პატარას, კაცსა თუ ქალს ყველას სამუშაო გაუჩნდა. პატარა გოგოებიც-კი თავიანთი შრომით ფულს შოულობენ. რასაც დღემდე ფასი არა ჰქონდა და გამოუყენებელი იყო, დღეს ფასი დაედო. ბევრი სიღარიბით დაცემული ოჯახი ფეხზედ დგება. ერთის სიტყვით დღეს, შუბნელებს ორი კარგი საქმე მოსდით: ეკკლესიასაც იშენებენ და ფულსაც საკმაოდ შოულობენ. მაგრამ ჩვენმა უმეცრებამა და ცრუმორწმუნეობამ აქაც თავი იჩინა. სოფელ შუბანში ხმა გავრცელდა, ვითომც ოსტატებს ერთის გლეხის თოდრაძის შავშვი დაეზომოთ და ეს ზომა კედელში მოეყოლებიათ. უმეცარი და ცრუ-მორ-

---

კა, მანამდე ბიბლიოგრაფიამ მაინც უნდა აიდგას ფეხი და გაიკვეროს ბილიკი, რომელიც კრიტიკის შემწეობით ფართო გზად შეიქმნება თავის დროზედ.

**

საგნად დღევანდელის საბიბლიოგრაფიო შენიშვნისა გახლავთ „ცრემლები“ ახალგაზდა პოეტის ბ-ნ დუტუ მეგრელისა. ეს ჩანებული და სწორედ ზედ-გამოჭრილი სახელი ჰქვიან კრებულს ამ ავტორის ლექსებისას, რომელთა შორის პირველი დაწერილია 1885 წ., ხოლო უკანასკნელი—შარშან. მაშასადამე, ჩვენ ხელთა გვაქვს უკანასკნელ რვა წლის განმავლობის პოეტური ნამოქმედარი ბ-ნ დუტუ მეგრელისა. სამწუხაროდ, წიგნს არა აქვს არავითარი შენიშვნა ანუ წინასიტყვაობა, რომ გაგვეგო, სრულად არის მოთავსებული ამ კრებულში ლექსები ავტორისა, თუ კიდევ დარჩა რომელიმე ნაწილი ხსენებულ დროისა დაუბეჭდავი. იქმნება „ცრემლებში“ მოგროვილია მხოლოდ ერთის ხასიათის ლექსები, ან იქნება ავტორს სულ ამ ხასიათის ნაწერები აქვს და შეუკრებია მხოლოდ ისეთნი, რომელნიც საუკეთესოდ უცვნია. ჩვენ არ გვახსოვს ავტორის სხვა ლექსები ან იქნება იმიტომ, რომ მისის პოეტურის მოღვაწეობისათვის გაფაციცებით არაოდეს არ გვიდევნებია თვალყური, ან იმიტომ, რომ იქნება, მართლაც, სულ ის იყოს მისი პოეტური ნაშრომი, რაც მოთავსებულია „ცრემლებში“. რომ გვცოდნოდა-კი, აქვს თუ არა სხვა ხასიათის და ღირსების ლექსებიც ჩვენს პოეტს, ძრიელ კარგი იქნებოდა, რადგან შევიძლებდით ლექსთა ურთიერთის შედარებით შეგვედგინა სრული წარმოდგენა ავტორის ძალღონისა, მისის პოეტური ვინაობისა.

ხოლო რაიცა გვაქვს ხელში, იგი დიდის ყურადღებით და ცნობის-მოყვარებით გადავიკითხეთ და უნდა მოგახსენოთ, რომ გათავების შემდეგ არ წამოგვიძახნია: „უჰ, მადლობა ღმერთს, დასრულდაო!„ უნდა იცოდეთ, რომ, ქართულ პოეზიის უკეთეს წარმომდგენლთა გარეშე, ბევრი პოეტი არ შეგვხდებათ ისეთი, რომ მათის ნაწერის წაკითხვამ არ გამოგათქმევინოთ ზემოხსენებული სიტყვები. მიზეზიც ამ უიმედო სიტყვების გამოუთქმელობა იყო, რომ ბ-ნ დუტუ მეგრელის „ცრემლები“ ხელმეორედ გადავათვალიერეთ. მართალია, ჩვენი ავტორი არ ეკუთვნის მცირე გუნდს იმ პოეტებისას, რომელნიც თავიანთის კალმით იმორჩილებენ მკითხველის გულსა და სულს, ტყვედ ჰქმნიან მის გრძნობასა და გონებას; მართალია, მისი ლექსი არ ისვრის ცხოველ-მყოფელს ნაპერწკალს, რომელიც ცეცხლს აჩენდეს თვით მიმკვდარებულ არსებაშიაც-კი და თან მალამოსავით ედებოდეს დაჭრილ გულს; მართალია, ის არ ეკუთვნის იმისთანა პოეტს, რომელზედაც თვითონვე ამბობს:

მას ვინ არ იცნობს, მისი ხმა წყნარი,  
ვით ნაკადულის ნელი ჩხრიალი,  
ანუ ყვირილი მისი საზარი  
ვის არ სმენია, ვით ზღვის ღრიალი?  
მას ვინ არ იცნობს, მის ტკბილ ღიმილით  
ვინ არ ტყვევნილა, აღფრთოვნებულა,  
ან გულ ამომჯდარ იმის ტირილით  
ვინ არ ტანჯულა, აღშფოთებულა?

ჰო, მართალია, ამ ჯურის პოეტებთან ძრიელ შორსა დგას ბ-ნი დუტუ მეგრელი, მაგრამ მაინც მისი ლექსები სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავად უნდა ჩაითვალოს ჩვენის საზოგადოებისთვის. თუმცა „ცრემლები“ დიდად შესანიშნავი არ არის პოეზიის მხრივ, თუმცა მისი სურათები გულის გასაგმირს ბევრს არას წარმოადგენენ, თუმცა თვით ლექსიც ვერ არის ისე სუბთად ჩამოსხმული და ავტორს ისე არ ემორჩილება ენა, როგორც ემორჩილება ნამდვილს პოეტს, მაგრამ მაინც ამ წიგნში თავიდამ ბოლომდე გატარებულია ყოვლად კეთილშობილური, საზოგადოებურიდა სამოქალაქო გრძნობა და აზრები, რომელთა გაღვიძება და შეთვისება ჩვენის მკითხველისათვის შეადგენს ერთს უპირველეს საჭიროებას. მით უმეტეს მიგვაჩნია ეს წიგნაკი სასარგებლო საკითხავად, რომ ავტორის ცრემლები არ არის ნაყოფი ცბიერებისა, არამედ მართალის გულიდგან არის ამონადუღი, და იგი სწორედ მართალის გულითა სჩივის:

ოჰ, რად არ ძალმიძს მთლად ცრემლად ვიქცე,  
გავხდე მდინარე აღქაფებული  
და გადავრეცხო, რაც ქვეყანაზე  
ბოროტებაა დამყარებული!..

**

ჩვენის ქვეყნის ბედს ნაღველითა და სევდით მოუცავს ახალგაზდა პოეტის გული და ესეც დასტირის სამშობლოს ყოფას. ცრემლი მისი წმინდა ნაკადულია და სიამოვნებით დაეწაფება მკითხველი, თუმცა ასეთ წმინდა ცრემლების დასაფრქვევადაც და გამოსაწვევადაც, ჩვენის აზრით, ავტორს უფრო ძლიერი იარაღი უჭირავს ხელში, ვიდრე ლექსი, და ეს იარაღი მას უფრო ემარჯვება. ჩვენ მოგახსენებთ მოთხრობას, რომელშიც ავტორმა საკმაოდ იჩინა თავი. როდესაც ამისთანა მგრძნობიარე და აზრიანს მწერალს, განვითარებულს, როგორცა სჩანს თავის ლექსებში ბ-ნი დუტუ მეგრელი, საკმარისად არ ემორჩილება ლექსთ-წყობილი ენა, ფანტაზია, ლექსთ-წყობილივე სურათი, და ამავე დროს იგი მოთხრობაში თავისუფლად და მხატვრობით ატარებს კალამს, მაშინ დიდი შეცთომაა, კაცმა დრო დაჰკარგოს რითმით წერაზედ. მელექსე მხოლოდ მაშინ არის თავის ადგილას, როდესაც ცქრიალა, წკრიალა მალხაზ და მდიდარ თმებთან ერთად მას ახლავს საკმაოდ ვრცელი ფანტაზია და ლექსთწყობით შემოქმედება ძლიერის სუ-

წმუნე მშლობლები დარწმუნებულან, რომ, რაკი ჩვენის შვილის ზომა კედელში მოაყოლეს, რამდენისამე თვის უკან ბავშვი მოკვდებაო. ტყუილ-უბრალოდ შეშინებული გლეხი თავის მოკვეთეებით ალალ-მართალ ოსტატებს დიდს მუქარას უცხადებს.

X

24 ივნისი
1893 წ.

## უცხოეთი

25 ივნისის კრებას რეიხსტაგისას დიდძალი ხალხი დაესწრო. თუმცა, მართალია, ყველამ იცოდა, რომ სამხედრო კანონ-პროექტის დამტკიცება გადაწყვეტილი საქმე იყო, მაგრამ მაინც ყველანი რაღაცას მოელოდნენ ახალს. ბევრს უნდოდა მხოლოდ ახალი რეიხსტაგი ენახა და ახალ დეპუტატების ლაპარაკი გაეგონა. მართლაც და დეპუტატთა შორის ბევრი იყო ახალი, თითქმის ნახევარზედ მეტი. ყველაზედ დიდი ყურადღება მიქცეული იყო მოხუცებულ კაცზედ, რომელიც მემარცხენეთა დასს ეკუთვნოდა. ეს გახლდათ ლიბკნეხტი, ყველაზედ უფროსი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატთა დასისა. ლიბკნეხტი მოხუცებულია, ჯან-გატეხილი ბევრის განსაცდელისა და ციხეში დაპატიმრებისაგან, მაგრამ ეს მოხუცი კაცი დღე და ღამ 12 საათსა შრომობს და უფრო მეტად არის გამსჭვალული იდეალებით, ვიდრე ბევრი სხვა ახალ-გაზდა წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატთა დასისა. მეორე სკამზედ იჯდა ბებელი და რაღასაც სწერდა გაჩქარებით. არავინ იტყოდა, რომ ეს ოდნავ გაჭაღარავებულ წვერიანი, სიცოცხლისა და მხნეობის გამომეტყველ სახის კაცი 50 წლისააო. ქალები დიდის ინტერესით შესცქერიან ბებელს. ერთი ამბობს: მაშ ეგა ყოფილა ის საშინელი რევოლუციონერი, რომელიც უარსა ჰყოფს ქორწინებასა? დიაღ, უპასუხებს მეორე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, თითონვე ჰყავს კანონიერი ცოლი და ძლიერაც უყვარს ცოლიცა და ერთად ერთი ქალიშვილიც. სოციალ-დემოკრატთა დასის ახალ დეპუტატთა შორის არც ერთი არ მოიპოვება, რომ ნიჭითა, ხასიათით და ენერგიით შეედაროს ლიბკნეხტსა ან ბებელს. ამ დეპუტატთა შორის ყველაზედ უფრო განათლებულია ბ-ნი შენლანკი, ახალ-გაზდა ეკონომისტი, რომელმაც რამდენიმე წიგნი დაჰბეჭდა მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ. შენლანკი უკანასკნელ დროს თანაშემწედ იყო ლიბკნეხტისა Vorwcirts-ის რედაქციაში. შენკლანკი ქ. ბრესლაველმა აირჩია დეპუტატად. მეორე დეპუტატი იმავე დასისა ევალდ ფოტგეერი აგრეთვე ძლიერ განათლებული კაცია, და მოხერხებული ვაჭარი. ვირხოვის მოადგილე ფიბერი თავის თავს „ასოთ ამწყობს“ უწოდებს, მაგრამ მარტო ამწყობი არ არის, ამასთანავე ძლიერ კარგადაცა სწერს და სოციალ-დემოკრატთა დასის მდივნად ითვლება. საყურადღებოა აგრეთვე დეპუტატი მელლერიც. მელლერი მთა-მადნის მუშაა. ეს პირველი მაგალითია, რომ რეიხსტაგში მთამადნის მუშა აერჩიოთ დეპუტატად.

კრება დაიწყო კანცლერის სიტყვით.

ამ 9 თთვის განმავლობაში, ასე დაიწყო სიტყვა კაპრივიმ, ისე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა სამხედრო კანონ-პროექტის შესახებ, რომ ყოვლად შეუძლებელია ეხლა ახალი რამ ვსთქვა, ხოლო იმის გამეორება, რაც უკვე თქმულა და დაწერილა, სრულიად მეტად მიმაჩნიაო. მაგრამ მაინც განიმეორა ზოგი რამ, უკვე ბევრ ჯერ თქმული და დაწერილი. ჯარის მომატება ჩვენთვის იმიტომ-კი არ არის საჭიროვო, მეოცედ მაინც განიმეორა კანცლერმა, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის ვითომ-და მშვიდობიანობა იყოს დარღვეული, არამედ იმიტომ, რომ სხვა სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით საფრანგეთმა და რუსეთმა, ჯარებს მოუმატეს. 1889 წლიდგან რუსეთის ჯარს მიემატა 94,000 კაცი. მაშასადამე, გერმანიისათვისაც საჭიროა ჯარის მომატება. რასაკვირველია, ეს ჯარი იმისთვის-კი არ გვინდა, რომ ომი ავუტეხოთ ვისმე, არამედ იმიტომ, რომ ვეცადნეთ მშვიდობიანობა არ დაირღვეს. თუ გერმანიასა სურს ევროპის სახელმწიფოთა შორის ისეთივე დიდი ხმა იქონიოს, როგორიც აქამდე ჰქონდა, უეჭველად ჯარი უნდა გაძლიეროს. მხოლოდ ამ პირობით შეეძლება ჩვენს მოქალაქეს მშვიდობიანად და არხეინად იყოს. შემდეგ კაპრივი თავს იმართლებს და ამბობს: მე ბრალსა მდებენ, ვითომც ისე ვიქცეოდი, როგორც გატაცებული ქაღალდის მოთამაშე, და მინდოდა ან სულ მომეგო საქმე, ან სულ წამეგო. სულაც არა. აწინდელი კანონ-პროექტი ერთი მეექვსედიც არ არის უწინდელ პროექტისა. მთავრობამ ბევრი რამ დასთმო კანონ-პროექტისაგან, იმიტომ რომ ჩვენ გვინდოდა ბოლო მოგვეღო მთავრობისა და რეიხსტაგის შორის ბრძოლისათვის, რათა ამით არ დავმცირებულიყავით ევროპის სახელმწიფოთა შორის და ვერავის ეთქვა ჩვენზედ: გერმანიაში გაჰქრა გრძნობა პატრიოტობისაო.

დასასრულ, კაპრივიმ ილაპარაკა ახალ ბაჟების შემოღებაზედ და სთქვა: ხალხმა უკვე გამოსთქვა თავისი აზრი ახალ-ბაჟების წინააღმდეგ და ჩვენც ეს სურვილი შევიწყნარეთ. რა ბაჟები იქნება შემოღებული მომავალში, ჯერ ვერაფერს ვიტყვი, იმიტომ რომ არა მსურს, ოპოზიციამ ეს ხელზედ დაიხვიოს ჩემ გასამტყუნებლად (ამ სიტყვებს დასცინიან). მხოლოდ ამას-კი ვიტყვი, რომ მთავრობა ამ საქმეში სრულიად ეთანხმება პრუსიის საფინანსო მმართველობას (მარცხნივ: აჰა, ისევ მიკელი მოპრძანდა!) მთავრობა უარს ამბობს ლუდსა და ღვინოზედ ბაჟის შემოღებაზედ, ბირჟას ბაჟი მოემატება, ხოლო სხვა ბაჟების შესახებ მთავრობა ეცდება, რაც შეიძლება, შეიბრალოს ღარიბნი და ტვირთი შეუმსუბუქოს გაჭირვებულ სოფლის მეურნეებს.

ამ სიტყვების გამო კონსერვატორები ძლიერ დიდ აღტაცებაში მოვიდნენ. სახეზედ ეხატებათ: კაპრივის ეხლა ჩვენი ეშინიან, რა დიდი ხანია, რაც ჩვენი წინააღმდეგი იყოვო, და ასტეხენ ხანგრძლივ ტაშს ცენტრში და სოციალ-დემოკრატთა შორის ასტყდება საშინელი ხარხარი და კაპრივის სიტყვას აწყვეტინებენ.

კაპრივის შემდეგ ილაპარაკა სამხრეთ-გერმანიის დემოკრატმა პაიერმა. პაიერის სიტყვამ დიდი ყურადღება მიაქცია რეიხსტაგისა. დეპუტატმა ასე დაიწყო სიტყვა: რა დაგვიმტკიცა ახალმა არჩევანებმა? რეიხსტაგსა და მთავრობას შორის უთანხმოება ჩამოვარდა კანონ-პროექტის გამო. მერე თვით ხალხი ვის მიემხრო? მოიწონა კანონ-პროექტი? რასაკვირველია, არა. ამას ის ამტკიცებს, რომ ოპოზიციას უმეტესი ხმა ჰყავდა, ვიდრე მთავრობის მომხრეთ. ვსთქვათ, ეხლანდელმა რეიხსტაგმა დაამტკიცა კიდეც კანონ-პოექტი. განა ეს უწინდელ რეიხსტაგში-კი მოუხერხებელი იყო? დიაღ, მაშინაც ადვილად მოახერხებდა, მთავრობა რომ უკედა სცოდნოდეს თავის საქმეების მმართვა. ეხლა, მართალია, ათიოდე ხმა შეისყიდეთ, მაგრამ ძლიერ ძვირად-კი დაგიჯდებათ ეგ ათი ხმა — დაგეკარგებათ ხალხში პატივსცემა და გაძლიერებთ მტრობას სხვა და სხვა წოდებისშორის. ხომ ნახეთ, როგორ უხაროდათ კონსერვატორებს, ეუბნება დეპუტატი კაპრივს, როცა სთქვით, რომ თქვენ ახალ ბაჟს არ დაგადებთო. მოითმინეთ ჯერ, როგორ ანგარიშს წარმოგიდგენენ, როცა კანონ-პროექტი დამტკიცდება. რას იზამთ მაშინ? არ დააკმაყოფილებთ? არ გაუსწორდებით? მაშინ ეცდებიან ისეთი მოადგილე დააყენონ თქვენს ალაგას, რომელიც უფრო შეიწყნარებს თქვენს თხოვნას (მარცხნივ და ცენტრში ისმის ხმა მოწონებისა). დასასრულ პაიერმა სთქვა: ოპოზიცია ეხლაც წინააღმდეგია კანონ-პროექტისა. ევროპის სახელმწიფოთა შორის გერმანია ბევრს მიიგებს, თუ ყველანი დარწმუნდებიან, რომ მშვიდობიანობა გვსურს და ომის წინააღმდეგნი ვართ.

პაიერის გარდა ილაპარაკეს კიდევ ლიბკნეხტმა და შუმმა. კრება დაიშალა საღამოს 4 საათზედ და დაიწყო მეორე დღეს, 26 ივნისს.

## დეპეშა

3 ივლისი

**პეტერბურგი.** მოსკოვში 18—28 ივნისს ხოლერით ავათ გახდა 32, გარდაიცვალა 11. მოსკოვის გუბერნიაში 20—26 ივნისს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, ბესარაბიის გუბერნიაში 13—19 ივნისს ავად გახდა 26, გარდაიცვალა 8; ვიატკას გუბერნიაში 29 ივნისს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 3., კურსკისაში— 13—19 ივნისს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1., ორიოლში 20—26 ივნისს ავად გახდა 63, გარდაიცვალა 25., გუბერნიაში ავად გახდა 30, გარდაიცვალა 16., პოდოლის გუბერნ.—13—20 ივნისს ავად გახდა 309, გარდაიცვალა 90., სარატოვისაში 19—26 ივნისს ავად გახდა 17, გარდაიცვალა 4., ტულას გუბერნიაში 20—26 ივნისს ავად დახდა 5, გარდაიცვალა 1., ხერსონის გუბერნიაში 19—28 ივნისს ავად გახდა 3., ტობოლსკის გუბერნიაში 28 ივნისს ავად გახდა 3, გარდ. 1.

სამხედრო გუბერნატორი ფერგანის ოლქისა, გენერალი კოროლკოვი დანიშნულ იქმნა სამხედრო გუბერნატორად სირ-დარიის ოლქისა. თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი პოვალო-შვეიკოვსკი დანიშნულ იქმნა ფერგანის ოლქის სამხედრო გუბერნატორად.

„Бирж. Вѣст.“-ს შეუტყვია, რომ გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროს მიუღია პასუხი გერმანიისაგან შესახებ რუსეთის თხოვნისა, რომ ბერლინში შეიკრიბოს კომისია რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესამუშავებლადაო. ის ხმები, ვითომ რუსეთს მოლაპარაკება აქვს ინგლისთან სავაჭრო კონვენციის გამო, ტყუილი გამოდგა. 1859 წლის ხელ-შეკრულობა ისევ მოქმედობს.

**ბერლინი.** სამხედრო კანონ-პრო-

---

რათებისა. ლექსი ან უნდა იყოს ძალუმი და სრული, ან სულაც არ უნდა იყოს. უფრო სჯობია ავტორისთვის. სუსტი ლექსი სახელს ვერ მოუხვეჭს მწერალს. კარგსა და ნამდვილ პოეტურ ლექსს-კი ყოველ-გვარ სალიტერატურო ნაწარმოებზედ მომეტებული ძლიერება ექვირება ავტორის მხრივ. სრულებით სხვა გარემოებაშია მოთხრობა, თუ-კი მცირეოდენი ხელოვნება აქვს განვითარებულს მწერალს, როგორც ბ-ნი დუტუ მეგრელია. ბოლოს არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ერთი მცირე ლექსი, რომელმაც თვისის უიდგილობით გაგვაკვირვა ამ წყნარის პოეტის კრებულში:

> დაე, „ნანა“ მათ უმღერონ ხალხს,
> ვინც დაძინებას (?) მას უპირობენ;
> ვისც ეშინიანთ (?) მოძრაობისა,
> ვინც თვის მშიდობას მხოლოდ ეძებენ (?);
> მე-კი მოვმართავ ჩემ ქნარს (!) იმისთვის,
> რომ დავუბთხო მას (ქნარს?) განცხრომით
> ძილი,
> გავაგებინო, რაც რომ ცუდი სჭირს,
> და ვაგრძნობინო წყლულთა ტკივილი!..

ამაზედ გვეთქმის მხოლოდ: „საიდგან სადაო, წმინდაო საბაო“! მეტი არაფერი. ნეტავ რომელ ქართველ მწერალს უმღერნია ისეთი „ნანა“, რომ საყვირის ადგილი არ ეჭიროს ჩვენის ხალხისთვის დღესაც!...

სტ. ჭრელაშვილი.

### ღვთის ნაპერწკალი

(ვუძღვნი ორ-ანს)

III *)

„პუშკინის თეატრში“ წარმოდგენა გათავდა. ხალხი შინ მიეშურება, ზოგიც ბუფეტისკენ მიდის ვახშმის საჭმელად. მემუსიკენი ესტრადაზედ ადიან, რომ დაუტკბონ სმენა ბაღში დარჩენილთ. აი გაისმის ნაზი მელოდიური ხმები. ჩვენი ნაცნობი ჯონიც აქა ზის თავის ჭიანურით ხელში და გატაცებით უსვამს ქამანჩას სიმებსა, რომელნიც ხან ქვითინებენ, ხან იცინიან. ჯონი ნოტებს მისჩერებია, მაგრამ მისი ფიქრები სულ სხვაგან ჰქრის: თვალწინ უდგას ახალ გაზდა საყვარლის ცოლის, მშვენიერ როზალის სახე ლაჟვარდოვანის კეთილის თვალებით... ის ნათლად ხედავს, როგორის აჩქარებით იცვლის კულისებში ტანისამოსს, როგორ მოეშურება მისკენ, მის ძვირფას ჯონისკენ... აი მოვიდა კიდეც... დაჯდა ესტრადის წინ ჩრდილში დადგმულს სკამზე... ის გრძნობს ძვირფასის არსების სიახლოვეს, ესმის იმისი სუნთქვა, სიყვარულით ავსილის გულის ცემა...

ჯონი არა სცდება: ესტრადის წინ სკამზე მართლაც ახალგაზდა ქალი ზის. ეს როზალიაა, რომელიც თავის ქმარს უცდის. ორს საათზედ ის თავისუფალი იქნება, მაშინ ერთმანერთს მაგრად ჩაეკვრიან და კმაყოფილები, ბედნიერები თავიანთ ღარიბს, მაგრამ სიხარულითა და შვებით სავსე სახლში გასწევენ...

ყმაწვილის ქალის პირდაპირ კამარიან შანდლებით გაჩაღებულს სტოლებს შემოსხდომია სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი, რომელთა შორის მანდილოსნებიც მოსჩანან. ისმის თავდაუჭერელი ხარხარი, კეკლუცი კასკასი, უხეირო ხუმრობა, „ალავერდიახშოლი.“ ქალი ზიზღით უყურებს ამ სანახაობას, რომელიც აგონებს მისს გუშინდელს უაზრო—უმიზნო, პირუტყვულ არსებობას... „საწყალი როზალია!“—მოაგონდა მას ჯონის სიტყვები. დიაღ, მაშინ საწყალი, შესაბრალისი ქმნილება იყო, ახლა-კი ის ბედნიერია, ოჰ რა ბედნიერია: იმას ჰყავს საყვარელი ქმარი, აქვს საკუთარი კერა, რომელზედაც ღვთისსიყვარულის წმინდა ცხოველ-მყოფელი ცეცხლი; მომავალი აღარ აშინებს, საზიზღარი წარსული-კი საშიშარ ზიმარივით ლა ელანდება...

— ოჰ, როგორ მიყვარხარ, ჯონი!—ეუბნება წყნარად ახალგაზდა ქალი ესტრადიდან ჩამოსულს ქმარს.

პასუხის მაგიერ ჯონი დაიხრება და აკოცებს ნაზად შუბლზედ, შემდეგ მიაწოდებს მკლავს და ეტყვის:

— წავიდეთ, ჩემო სულიკო!

— წავიდეთ, ჯონი.

— იცი, ჯონი,—ეუბნება ცოლი ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ,—იცი, რა მოგიმზადე ვახშმად! აბა გამოიცან.

— არ ვიცი, გეთაყვა!

— როგორ არ იცი? რა გიყვარს ყველაფერზედ უფრო?

— შენ, ჩემო მშვენიერო.

— ახ, ჯონი, რა მიუხდომელი რამა ხარ?—ეუბნება როზალია ღიმილით და სიყვარულით გაბრწყინებულის თვალებით შესცქერის ქმარს, —ფლავი, ჯონი, ქართული ფლავი.

— ოჰ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ლხენავ!—შესძახებს ბედნიერი ქმარი და მიიკრავს გულზედ ცოლს.

—

— ესეც შენი როზალია! როგორ მოგწონს ვოლდემარ, ა?—ეკითხება ჩვენი ნაცნობი ქერა აფიცერი თავის ამხანაგს, რომელიც შორიახლოს კვალ-და-კვალ მოსდევენ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს.—ვინ იფიქრებდა, რომ მაგ გომბიოს ასეთი მოტრფიანე გული ჰქონია!

— საკვირველი ამბავია—მიუგებს ამხანაგი.

— საკვირველი და მერე აგრე? წარმოიდგინე, გაგიჟებით უყვარს თურმე ქმარი და ერთგულიცაა, განა ზედ არ ეტყობა? მიდი და გაიგე ადამიანის გულის თვისება!

— სწორედ ძნელი გასაგებია.—დაეთამხმება ამხანაგი.—მაგრამ გაიგებ თუ არ გაიგებ, ძმაო, ეგ სულ ერთია: შამპანიური მაინც ტკბილად დაილევა!

დიმ. ერისთავი

*) იხ. «ივერია», № 139.

ექტი მიღებულ იქმნა დღეს, მესამედ განხილვის შემდეგ 1 მუხლის დამტკიცების შემდეგ; დანარჩენი მუხლები კენჭის ჩამოუტარებლად იქმნა დამტკიცებული. კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა 201 ხმის უმეტესობით, 185-ის წინააღმდეგ. კანონ-პროექტის მიღების შემდეგ დამტკიცდა დამატებითი კრედიტი. შემდეგ კანცლერმა წაიკითხა იმპერატორის ეპისტოლე, რომლის ძალითაც სესსია დათხოვნილ იქმნა.

**ნიუ-იორკი.** 794 ემიგრანტი, რომელთა შორისაც 694 რუსია, იძულებულ არიან იმ გემზედ იყვნენ, რომლითაც მოვიდნენ, იმ დრომდე, ვიდრე სანაოსნო საზოგადოება მთავრობას არ წარუდგენს 10,000 დოლარს იმის თავდებად, რომ ემიგრანტები სახელმწიფოს ტვირთად არ გახდებიან.

### ეტერბურგის ბირჟა, 2 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,84 | 7,87 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | 151¾ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 242 |
| —მეორისა | — „ | — „ | 226 |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 194¾ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — „ | 101¼ | — „ |
| 5% | — „ | 100¼ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — „ | 101¼ | — „ |
| 5% | — „ | 100¼ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98¾ | — „ |

### ხელ-და-ხელ საჭირო ცნობანი.

ტფილისის საგუბერნიო გამგეობის დარბაზში 25 ივლისს მოხდება საჯარო ვაჭრობა. იჯარადარმა უნდა გააკეთოს კახეთში ალაზანზედ რკინის ხიდი. ამისათვის გადადებულია 3127 მანათი და 66 კაპ. ამასთანავე იჯარადარმა წინადვე უნდა შეიტანოს ბედ ⅓ ამ ფულისა.

ქუთაისის საინჟინერო გამგეობის სადგურში 14 ივლისისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. იჯარადარმა უნდა შეაკეთოს ოზურგეთში დრუჟინას ფურნე და სამზარეულო. სულ დანიშნულია ამისათვის 2419 მანათი. დაწვრილებით ცნობის შეტყობა შეიძლება გამგეობაში.

ტფილისის ოლქის საინჟინერო გამგეობა 12 ივლისს მოახდენს საჯარო ვაჭრობას. იჯარადარმა უნდა ააშენოს ხუნზახს რვა ოთახიანი ფლიგელი; შეაკეთოს ორსართულიანი ყაზარმა, საპრავიანტო ფარდული და სხვ. სულ გადადებულია 52496 მანათი და 10 კაპ.

ტფილისის საგუბერნიო გამგეობის დარბაზში 12 ივნისს მოხდება საჯარო ვაჭრობა. იჯარადარმა უნდა შეაკეთოს გორის ხიდი მდინარე მტკვარზედ. გადადებულია ამისათვის 1650 მან. 98 კაპ.

ტფილისის საგუბერნიო გამგეობა 26 ივლისისათვის ჰნიშნავს საჯარო ვაჭრობას. იჯარადარმა უნდა დაამზადოს 350 ოთხ-კუთ. საჟენი ქვა, კახეთის გზა-ტკეცილისათვის. ამისათვის გადადებულია 7636 მან. 65 კაპ.

დაწვრილებით ცნობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში.

იქვე 10 სექტემბერს მოხდება საჯარო ვაჭრობა თავ. გიორგი თომას ძის ანდრონიკაშვილის მამულის გასასყიდად. მამული იმყოფება სიღნაღის მაზრის სოფელ ლამბალოში, შეიცავს 58½ დესიატ. სახნავსა და საძოვარ მიწებს, დაფასებულია 875 მანათად.

## განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მამული თ. სვიმონ გიორგის ძის წერეთლისა, წინად ახმედ სულთანის ძის ემინოვისა, ტფილისის გუბერნიაში სოფ. ვარდისუბანს, ანუ შავ-საყდარს — სახნავი და საძოვარი, ზომით 452 დესეტინა, — დანიშნულია საჯაროდ გასასყიდად, რადგან ხვედრი სავადო შემოსატანი და ზედდარჩენილი ფული არ შემოუტანიათ.

(1—1)

30 ივნისს 12 საათზედ ვილამაც მოიპარა ორი პატარა ლეკვი (ძუკნა და ხვადი). ერთი თავ-ყურ შავი და მეორე ჭრელი. ვინც იპოვნის და მოჰგვრის სვიმონ ნადირაძეს, სათავად-აზნაურო ბანკის ეზოში, ჯილდოს მიიღებს.









ბათუმში, თათრის ბაზარში, გაიმართა წიგნების სავაჭრო ფარდული, სიდაც იღებენ საკომისიოდ ყოველ გვარს ქართულ გამოცემასა და აგრეთვე სურათებს ქართველ საუკეთესო მწერლებისას და საქართველოს შესანიშნავ ადგილებისას. გამომცემლებმა თავიანთის პირობით უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:

Книжная торговля Геронтія Каландадзе. Въ Батумъ, Татарскій базаръ.


„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.




ამხანაგობა „ჰიგიენა“ ლიზოლინი ცუდის სუნის მომსპობი წამალი

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

პეტერბურგის სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—72)


ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

გორში არსენ კალანდაძესთან.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში გ. კალანდაძესთან.

**ქრისტინე**

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი


მამოსადეგი ცნობანი

პირველი კერძო საავადმყოფო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტინი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპელაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.



ა. რალლე დ კომპ.

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

აპონური საპონი „მუსმე“

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

Leichner's Fettpuder

მსუქანი პუდრა ლეიხნერისა

კოლოფით 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

ლ. ლეიხნერი, ბერლინში,

ბელგიის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. (6—6)


Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Іюля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე